საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01- 10/58

ქ. ბათუმი 08 ივნისი, 2022 წ.

,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ნოემბრის N01-11/89 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის", ,,საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილების, ,,ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 აპრილის N01-10/40 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ნოემბრის N01-11/89 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და N1 **დანართის** (,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია")"

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია (შემდეგში - ,,ბსუ-ს ინსტრუქცია") შემუშავებულია ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა" და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ინსტრუქცია ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს ბსუ-ს მართლზომიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა) და სავალდებულოა შესასრულებლად ბსუ-ს

პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და ბსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისათვის.

3. წინამდებარე ინსტრუქცია ვრცელდება ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, რომლებსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით მინიჭებული აქვს შემდეგი ნომრები და განლაგებულია შემდეგ მისამართებზე:

ა) **№1 კორპუსი** - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004) - **განთავსებულია** აუდიტორიები, ბსუ-ს ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ილია ჭავავაძის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, საერთო სივრცეები, კომპიუტერული კლასები და სხვა;

ბ) **№2 კორპუსი** - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004) - განთავსებულია აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, ფაკულტეტების ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, სპორტული დარბაზი და სხვა;

გ) **№3 კორპუსი** - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში, მელიქიშვილის ქუჩის მხარეს მდებარე, ყოფილი ,,სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის'' შენობა (ს/კ 05.23.03.004) - **განთავსებულია** ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი", ფსიქოლოგიის კლინიკა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ცენტრები და სხვა;

დ) **№4 კორპუსი** - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.24.05.084) - **განთავსებულია** ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, ფაბლაბი, საგამოცდო ცენტრი, სტამბის მანქანა-დანადგარების განთავსების ოთახი);

ე) **№5 კორპუსი** - ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.30.26.027) - **განთავსებულია** ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები; ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულებით ადმინისტრაცია და სასწავლო ფართი;

ვ) **№6 კორპუსი** - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.25.12.020) - **განთავსებულია/განკუთვნილია** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო ფართი/ადმინისტრაციისათვის;

ზ) **№7 კორპუსი** - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.25.12.020) – განთავსებულია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი;

თ) **№8 კორპუსი** - ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N26-ში მდებარე შენობა (ს/კ 20.42.11.522) - განთავსებულია ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები.

4.. ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური (ამ სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და პერსონალის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად).

5. ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს ევალება საევაკუაციო გეგმების ბსუ-ს შენობებში/კორპუსებში შესაბამის ადგილებზე განთავსება, ასევე მათი გაცნობა პერსონალის/სტუდენტების/პროფესიული სტუდენტებისათვის.

6. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბსუ-ს სარგებლობაში არსებული ფართის შემოწმება, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" (შემდეგში - მთავრობის დადგენილება ან რეგლამენტი) მოთხოვნებთან.";

ბ) მე-7 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,

,,14. კლინიკების/ლაბორატორიების აკრძალულია რეაქტივების გამოყენება, ელექტრო და სხვა გამახურებელ ხელსაწყოებთან მუშაობა ლაბორანტის ან სალექციო კურსის/სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დასაქმებული ზედამხედველობის/ხელმძღვანელობის გარეშე.

15. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის თანდასწრებით.";

გ) მე-10 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15. სახანძრო სტენდის დაკომპლექტება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებ-ებით, არამექანიზებული სახანძრო ინსტრუმენტით და ინვენტარით უნდა განხორციელდეს მთვარობის დადგენილების/რეგლამენტის №7 დანართის №4 ცხრილის შესაბამისად.";

დ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ყველა პირი (სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, დასაქმებული, სტუმარი), ვინც იმყოფება უნივერსიტეტში ვალდებულია:'';

ე) მე-12 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის ტემპერატურის აწევის და ა.შ) აღმოჩენის შემთხვევაში ნებისმიერი პირი (სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, დასაქმებული, სტუმარი), ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო (სწავლება/სწავლა), დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (თუ თავად

არის ამ სამსახურში დასაქმებული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) და სახანძრო სამაშველო სამსახურს ტელეფონის მეშვეობით ნომერზე ,,112";

ვ) მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) სხვებთან ერთად გაჩერდეს შენობის მიმდებარე ეზოში, რათა დადგინდეს ის პირები, ვინც შენობაში დარჩნენ, მათ შესახებ აცნობონ დაცვისა და შრომის უსაფრთხოების თანამშრომელს ან/და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს.";

ზ) მე-14 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 14. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პერსონალის ხანძარსაწინააღმდეგო სამოქმედო ინსტრუქცია"

თ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი და ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (მათ შორის დაცვისა და შრომის უსაფრთოხების სამსახურის პერსონალი, რომლებმაც შეიტყვეს ხანძრის გაჩენის შესახებ) ვალდებულნი არიან იმოქმედონ ამ ინსტრუქციაზე თანდართული ხანძარსაწინააღმდეგო **სამოქმედო ინსტრუქციის (თანდართული)** შესაბამისად, კერძოდ:

ა) ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აამოქმედონ შენობაში განთავსებული სახანძრო სიგნალიზაცია, შესაბამის ღილაკზე დაჭერით ან/და აცნობონ დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსს (სახანძრო სიგნალიზაციის ასამოქმედებელი ღილაკების განთავსების ადგილები მითითებულია ევაკუაციის გეგმაზე);

ი) მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შენობა-ნაგებობებში მოწყობილი სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძრის ავტომატური ჩაქრობის დანადგარების, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ევალება უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს."

კ) ინსტრუქციაზე თანდართული ,,ხანძარსაწინააღმდეგო სამოქმედო ინსტრუქციის" მე-6 გრაფაში, ,,შემსრულებლის" ველში არსებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დაცვისა და შრომის უსაფრთოხების სამსახურის უფროსი/ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ადმინისტრაცია, მორიგე".

2. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით კოდიფიცირებული ,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციის“ მომზადება და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტები; სტუდენტთა გზამკვლევი; სტრუქტურული ერთეულები).
3. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი